საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3669-02
29/12/2017

2017 წელს პირველად გამოქვეყნებული საუკეთესო ქართული რომანის გამოვლენისა და დაჯილდოების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და ვადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 12 დეკემბრის N13 სხდომის გადაწყვეტილების ლიტერატურული პრემიის შესახებ, აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 ნოემბრის N107 სხდომის გადაწყვეტილების ლიტერატურული პრემიის შესახებ, ლიტერატურული პრემიის შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 30 დეკემბრის N11 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ლიტერატურული კონკურსი 2017 წელს გამოქვეყნებული საუკეთესო ქართული რომანის გამოსავლენად.

2. კონკურსში მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) რომანი ქართულ ენაზე გამოქვეყნებული უნდა იყოს პირველად 2017 წელს;
ბ) წიგნი უნდა წარმოადგინოს ავტორმა ან გამომცემლობამ, ლიტერატურული პრემია გადაეცემა ავტორს;
გ) ავტორს შეუძლია ერთი განაცხადით წარმოადგინოს რამდენიმე რომანი;

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო რომანის სამი ეგზემპლარი და განაცხადი უნდა წარმოადგინოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მის.: ქ.ჩოლოყაშვილის 3/5) 2018 წლის 1 თებერვლიდან 2018 წლის 1 მარტის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

4. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2018 წლის მაისში.

5. კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ლიტერატურული პრემიით -10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

6. განაცხადებთან ერთად წარმოდგენილი წიგნის სამი ეგზემპლარი, კონკურსის დასრულების შემდეგ გადაეცეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

7. ჟიურის შემადგენლობას ირჩევს უნივერსიტეტის რექტორი. ჟიურის შემადგენლობა კონფიდენციალურია და შედგება უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტებისგან.

8. რექტორის აპარატის უფროსს დაევალოს ამ ბრძანებით გათვალისწინებულ პროცესის მონიტორინგი, შესაბამისი სამსახურებისათვის დახმარების გაწევა, ჟიურისათვის შეტყობინებების გაგზავნა და ჟიურის სხდომის ჩანაწერის შექმნა.

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს შემოსული განაცხადები გადასცეს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

10. კონტროლი ბრძანებაზე დაევალოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და სტუდენტური სერვისების მიმართულებით.

11. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

12. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

13. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, რექტორის აპარატს.

გიგა ზედანია

რექტორი